ლელო

№ 45
(12 013)

16 – 19 ივნისი, 2006 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo

ფეხბურთი XVIII მსოფლიო ჩემპიონატი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

22 ივნისის ოლიმპიური

რაც უფრო ახლოვდება 22 ივნისი, მით უფრო იზრდება ენთუზიაზმი ღელავს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატების შერჩევასთან დაკავშირებით. სწორედ 22 ივნისს გახდება ცნობილი თუ ვინ გააგრძელებს ბრძოლას კონკურენტთა შორის შემდეგ ეტაპზე. შემდეგი ეტაპი კი არც ისე შორსაა, უკვე ივლისში უნდა გახდეს ცნობილი, ვინ უმასპინძლებს 2014 წლის ოფიციალურად. შეგახსენებთ, რომ ამ უფლების მოპოვებისათვის ბორჯომით ერთად იბრძვიან ავსტრიის ზალცბურგი, სამხრეთ კორეის პიონჩანი, ესპანეთის სეკი, რუსეთის სოჩი და ყაზახეთის ალმატი.

რონალდოს თავი ასტკივდა, კლინსმანსაც მისაყოლა, თუმცა, საბედნიეროდ არაფერი ყოფილა. ის მომავალი მატჩისთვის კარგ ხასიათზე ემზადება

ჯგუფური ეტაპი

16.06, 17.00 არგენტინა – სერბეთი
16.06, 20.00 პოლანდია – კოტ დ'ივუარი
16.06, 23.00 მექსიკა – ანგოლა
17.06, 17.00 პორტუგალია – ირანი
17.06, 20.00 ჩეხეთი – განა
17.06, 23.00 იტალია – აშშ
18.06, 17.00 იაპონია – ხორვატია
18.06, 20.00 ბრაზილია – ავსტრალია
18.06, 23.00 საფრანგეთი – კორეა
19.06,17.00 ტოგო – შვეიცარია
19.06, 20.00 საუდ. არაბეთი – უკრაინა
19.06, 23.00 ესპანეთი – ტუნისი
20.06, 18.00 ეკვადორი – გერმანია
20.06, 18.00 კოსტა-რიკა – პოლონეთი
20.06, 23.00 შვედეთი – ინგლისი
20.00, 23.00 პარაგვაი – ტრინიდადი
21.06, 18.00 პორტუგალია – მექსიკა
21.06, 18.00 ირანი – ანგოლა
21.06, 23.00 პოლანდია – არგენტინა
21.06, 23.00 კოტ დ'ივუარი – სერბეთი
22.06, 18.00 ჩეხეთი – იტალია
22.06, 18.00 განა – აშშ
22.06, 23.00 იაპონია – ბრაზილია
22.06, 23.00 ხორვატია – ავსტრალია
23.06, 18.00 საუდის არაბეთი – ესპანეთი
23.06, 18.00 უკრაინა – ტუნისი
23.06, 23.00 ტოგო – საფრანგეთი
23.06, 23.00 შვეიცარია – კორეა

დღეს ამგზავ ცისკარიშვილი პრესკონფერენციას გაკვირთავს

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში პეტრე ცისკარიშვილი წლევანდელ საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტად აირჩია. დღეს, 16 ივნისს, 11 საათზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამმართველოში დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში, ფეხბურთის ახალი პრეზიდენტი გამართავს პრესკონფერენციას.

მილოცვები

საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია და ვეტერანთა სამბოისტები დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავენ სამბოში სსრ კავშირის ჩემპიონსა და პრიზიორს, დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს **თენგიზ არაბულს.**

* * *

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს სსრ კავშირის ჩემპიონს და პრიზიორს სამბოში, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს **თენგიზ არაბულს.**

გუშინ:

მატჩი №18. 15.06. პამპურგი. 52 000 მაყურებელი

ეკვადორი – კოსტა რიკა 3-0

ეკვადორი: მორა, ურტადო, დე ლა ტორესი, რეასპონსო (გუიგუე, 69), მენდესი, კასტილიო, ვალენსია (ტორტიტა, 73), ე. ტენორიო, კ. ტენორიო (კაიედესი, 46), დელგადო.

კოსტა რიკა: პორასი, მარინი, კორანეს, ტოლასი, სეკეირა, გონსალესი (ერნანდესი, 56), ფონსეკა (სბორარი, 29), სოლისი, სენტენო, გომესი, ვანჩოპე.

გოლები: 1-0 ტენორიო (8), 2-0 დელგადო (54), 3-0 კაიედესი (90).

გააფრთხილეს: კასტილიო (44), დელგადო (54), მორა (60), მარინი (10), სოლისი (28).

არბიტრი: კოჟია (ბენინი).

ეკვადორის მერვედფინალია

გუშინ A ჯგუფიდან მეორე მერვედფინალიტი გაირკვა. ეკვადორის ნაკრებმა მეორე შეხვედრაც მოიგო კოსტა რიკის გუნდთან ანგარიშით 3-0 და ვედამდე გაინაღდა ფულიოფში თამაში. ეკვადორელებმა ასეთი რამ პირველად მოახერხეს თავიანთ ისტორიაში. ახლა მესამე ტურში ისინი პირველ ადგილს გაითამაშებენ ჯგუფში გერმანელებთან.

დევიდ ბეკჰემს მეუღლე ვიქტორია და შვილები გულშემატკივრობენ

ინგლისი – ტრინიდადი 2-0
შვედეთი – პარაგვაი 1-0

ინგლისიც გავიდა...

A ჯგუფი	1	2	3	4	გ	ქ
1 გერმანია		4:2	1:0			
2 კოსტა რიკა	2:4					
3 პოლონეთი	0:1			0:2		
4 ეკვადორი			2:0			

B ჯგუფი	1	2	3	4	გ	ქ
1 ინგლისი		1:0	2:0			
2 პარაგვაი	0:1			0:1		
3 ტრინიდადი	0:2			0:0		
4 შვედეთი		1:0	0:0			

C ჯგუფი	1	2	3	4	გ	ქ
1 არგენტინა		2:1				
2 კოტ დ'ივური	1:2					
3 სერბეთი				0:1		
4 ჰოლანდია			1:0			

D ჯგუფი	1	2	3	4	გ	ქ
1 მექსიკა		3:1				
2 ირანი	1:3					
3 ანგოლა				0:1		
4 პორტუგალია			1:0			

E ჯგუფი	1	2	3	4	გ	ქ
1 იტალია		2:0				
2 განა	0:2					
3 აშშ				0:3		
4 ჩეხეთი			3:0			

F ჯგუფი	1	2	3	4	გ	ქ
1 ბრაზილია			1:0			
2 ავსტრალია				3:1		
3 ხორვატია	0:1					
4 იაპონია		1:3				

G ჯგუფი	1	2	3	4	გ	ქ
1 საფრანგეთი		0:0				
2 შვეიცარია	0:0					
3 კორეა				2:1		
4 ტოგო			1:2			

H ჯგუფი	1	2	3	4	გ	ქ
1 ესპანეთი		4:0				
2 უკრაინა	0:4					
3 ტუნისი				2:2		
4 საუდის არაბ.			2:2			

რეკლიკა

რასიზმი მორგენალ სტრიქონზე...

თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტს თვალ უნდა გავუსწოროთ – XXI საუკუნეშიც კი პრობლემებად ჩნდება ადამიანის ერთ-ერთი ფიზიკური მახასიათებლის – კანის ფერის გამო. ეს ამბავი ფეხბურთის სამყაროშიც შემოიჭრა და ამ ეტაპზე ყველაზე მეტად ამ პრობლემის წინაშე ესპანეთის ნაკრები აღმოჩნდა. ესპანელი ფეხბურთელების ნაწილი ხომ ნამდვილად არ ჰგავს ევროპელს. ამ ფაქტმა ბევრ ადამიანში გამოიწვია ეჭვიანობა, ზოგიერთში კი – ნეგატიური ემოციები. ესპანეთის ნაკრების ფანების ნაწილი ხშირად ავლენს ნეგატიურ დამოკიდებულებას ნაკრების ზოგიერთი ფეხბურთელის მიმართ. ამ ფაქტის ნათელი დადასტურება იყო ესპანეთის ნაკრების ფანების ქცევა ნიგერიასთან მატჩის დროს. ესპანელი ფანების ნაწილი ნიგერიის ნაკრების ფეხბურთელებს ხმამაღლა ეძახდა მაიმუნებს. ამ ფაქტმა ფიფას ეთიკის კომიტეტის ყურადღებაც მიიპყრო. ესპანეთის ნაკრების ფანებს ამ ფაქტის გამო ფიფამ 10 000 შვეიცარიული ფრანკის ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

ესპანეთის ნაკრების ფანების ნაწილის ასეთი ქცევა ნიგერიასთან მატჩის დროს ფიფას ეთიკის კომიტეტის ყურადღებაც მიიპყრო

ესპანეთის ნაკრების ფანების ნაწილის ასეთი ქცევა ნიგერიასთან მატჩის დროს ფიფას ეთიკის კომიტეტის ყურადღებაც მიიპყრო

ძალოსნობა. საქართველოს პირველობა

120 მონაწილე, ეს უკვე ქარგია...

თბილისის, ბჭარის, ახუხაშის, ცხინვალის, წყალტუბოს და დედოფლისწყაროს 120 სპორტსმენის მონაწილეობით ვაკის ძალოსნობის სპორტულ დარბაზში დასრულდა საქართველოს პირადი პირველობა ძალოსნობაში.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. **56 კგ:** 1. ზვიად სამუაშვილი (დედოფლისწყ). 2. ვაჟა ჭაჟოიანი. 3. ზაზა ფუტკარაძე (ორივე – ხელჯეკი). **62 კგ:** 1. ზაალ მოდებაძე (ქუთ), 2. გიორგი სიდამონიძე (თბ), 3. გურამ გოგრიაშვილი (ავჭ). **69 კგ:** 1. ირაკლი ლომთათიძე (თბ), 2. ზაზა აბულაძე (ავჭ), 3. ირაკლი ცანავა (ზუგ). **77 კგ:** 1. ზაალ გეგეშიძე (ქუთ), 2. ალეკო მელაძე (აფხ), 3. ნუგზარ ჯინჭარაძე (ავჭ). **85 კგ:** 1. რაულ ცირკვაძე (ქუთ), 2. თემურ ჩხეიძე, 3. ილია ჯალაღონია (ორივე – ზუგ). **94 კგ:** 1. თემურ გოგია (ზუგ), 2. ვაჟა ლორდკიპანიძე, 3. ბადრი ჭუპრაძე (ორივე – ქუთ). **105 კგ:** 1. არსენ ქასაბიევი (ცხინვალი), 2. ილია თოროშაიძე (აფხ), 3. გიორგი ბებიტაშვილი (აფხ). **მძიმე:** 1. ალეკო ნოზაძე (თბ), 2. გიორგი მაჭავარიანი (აფხ), 3. ზვიად ციბაძე (წყალტ).

საქართველოს ძალოსანთა ნაკრები შედგება შეიდვა მომავალი მსოფლიო პირველობისთვის. ეს შეგახსენებთ ჩატარდება სექტემბერში დომინიკანის რესპუბლიკის ქალაქ სანტა-დომინგოში.



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი სამძიმარს უცხადებს ოლიმპიური თამაშების ორგზის და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში ლევან თეძიაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს ოლიმპიური თამაშების ორგზის და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში ლევან თეძიაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირნათელი ქართული სპორტის წინაშე

იუბილარი

საქართველოს ფალავანთა დიდ და საამაყო ოჯახს, გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა შეემატა. მათ შორის იყო **თენგიზ არაბული,** რომელსაც წონად ხვდა ბენდერეზმა მდგარიყო აგრეთვე საქართველოში ძიძელის დამკვიდრების საათვეებთან. თვით ის ფაქტი, რომ თენგიზ არაბული, **ანზორ კიკნაძე** და **ანზორ ქიბროწაშვილი** მაშინ პირველები შეიჯავშნეს სსრ კავშირის ძიძელისტთა ნაკრებში, ბევრის მთქმელია.

თენგიზ არაბულმა მაღალი ოსტატობით, მიზანსწრაფულით და გონივრული ხიდაობით მალე გაიცნო თავი სამბოს სამყაროს. მან არაერთხელ მოიგო საქართველოს ნაკრებმა ფეხორი მოახდინა — თვით რუსეთს ნაკრებსაც აჯობა ხიდაობის რუსულ ეროვნულ სახეობად აღიარებულ სამბოში. ეს იყო სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. ქართველებმა პირადშიც გაიმარჯვეს და გუნდურშიც. სწორედ მაშინ გახდა თ. არაბული სსრ კავშირის ჩემპიონი. სამწუხაროდ, ეს იყო უკანასკნელი მოქიდავის ბილი წარმატება. ფეხის ტრავმა და რამდენიმე ოპერაცია გახდა ატეხილი სპორტიდან წასვლის მიზეზი. თუმცა, უსპორტოდ თავი ვერ წარმოედგინა და ამიერიდან სწავლის ხალისზე როგორც მწვრთნელმა და შეგირდთა აღმზრდელმა ოსტატმა შეძლო ფეხი. მისი სამწვრთნელო ქუჩა გაიარა არაერთმა სახელოვანმა სამბისტმა და ძიუდოისტმა, მათ შორის **ნოდარ მანველაშვილმა, დოლარ ხაბულიანმა, რამაზ ხარშილამ, ტარიელ ცინცაძემ...** მაღალი კვალიფიკაციის ათლეტთა აღზრდისთვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საერთოდ, სპორტში გაწეული ღვაწლისთვის კი საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭა. მწვრთნელად 1966-1992 წლებში იმუშაა. შემდეგ კი სამოთხე ეროვნული ფედერაციის ვასპარეზისგებრთ თანამდებობებზე. ამჟამად ამავე ფედერაციის პრეზიდენტია.

დღეს მისი მეგობრები, ყოფილი შეგირდები, საქართველოს სპორტული სამყოს წარმომადგენლები ალაპად მიეფიცებენ მათთვის და ყველასთვის საყვარელ თენგიზ არაბულს დაბადებიდან 70 წლისთავს.

თენგიზ თოფაუეიელი

დავით ქევხიშვილი – გურნირის ორგანიზატორი

ვარელში ჩატარდა კომპანია **„ენინმაიორმელისა და ბიზნესმენის** (ყოფილი სპორტსმენის) **რამაზ ვეკუას** სახელობის I მემორიალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომლის ორგანიზატორი იყო ევროპის მრავალგზის პრიზიორი ძიუდოში **დავით ქევხიშვილი.**

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 60 კგ — ილია ჭეჭელაშვილი (ყარელი), **70 კგ** — ზაზა კეკელაშვილი (დეფოფილისწყარო), **80 კგ** — სოსო წულაია (თელავი), **90 კგ** — იოსებ მსხალაძე (გორი), **აბსოლუტური** — გიორგი ჯიბლაშვილი (ახმეტა).

აღსანიშნავია, რომ **90 კგ.** წონით კატეგორიაში გამარჯვებულმა ფალავანმა **იოსებ მსხალაძემ** შეხვედრები მოიგო ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონის **ზვიად ზვიადაურს** და სამბოში ევროპის ჩემპიონს **მინდია პოდკასელს.** ჩემპიონებს გადაეცათ ფულადი ჯილდო და ფასიანი საჩუქრები. მთავარი ჯილდო (1000 ლარი და ჯიქილა) კი ახმეტელმა ფალავანმა **გიორგი ჯიბლაშვილმა** დაისაკუთრა.

ომარ ჩხაიძე.

შვილიშვილება აპაის სწორები გურნირი მოიგო

ახალგაზრდა ფალავანთა შესანშნავ აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს თავისუფალ ჭიდაობაში, **ბიჭიკო პაპაშვილს** წელსუღლ დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდებოდა.

ამავდროულად მწვრთნელის ხსოვნის პატივსაც ადგილად თბილისში ტურნირადაც ამჯერადაც თბილისში უმასპინძლა. მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქის და რაიონის წარმომადგენლები. სასიამოვნოა, რომ ამჟამად მოზარდი ფალავნები დაბა ჯვარისწყალი კი ჩამოიყარნენ.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

26 კგ: 1. ტატუ**ლ** აბდულაი (მარნ.), 2. გიორგი აბზიანიძე (ხაშურის სკოლა), 3. არზიმან ცოფურაი და ჯამალ გუსეინოვი (ორივე — მარნეული); **29 კგ:** 1. დავით ბარდაძე (თელავის კლუბი), 2. გიგა კარტოზია (ყარდანაში), 3. ბაღირ კურატაშვილი და ვალერი ჩიქვილაძე (ორივე — ბაბეი, სს.); **32 კგ:** 1. ლაშა მიხელიძე („მარიონ"), 2. ბექა ხორხლაძე („შევარდენი"), 3. ბექა ჭიპაშვილი (დაბა ჯვარი) და მელიკა ცოცხალიშვილი (ხაშური, სს.); **35 კგ:** 1. თენგიზ ჯახუაძისეული (მარნ), 2. ლევან რიჟიაშვილი (საგარ.), 3. ომარი ფარჯიკიანი (ჯვარი) და აბო ჯაბაური („მარიონ"); **38 კგ:** 1. გიორგი პატრიაშვილი (საგარ.), 2. ლაშა ბატარიშვილი (ორს), 3. მოსე არაბული („შევარდენი") და ლაშა გობეჯიშვილი („მარიონ"); **42 კგ:** 1. ზურაბ ერმონიშვილი (საგარ.), 2. გიორგი ბარამაშვილი (ხაშური, სს.), 3. გიორგი ხორხლაძე („შევარდენი") და იოსებ კურბანოვი (მარნ.); **46 კგ:** 1. ბექა პატრიაშვილი, 2. ბექა შაფლაშვილი, 3. თეიმურაზ ოხვადიე (სამეფო — თელ. კლ.) და ნიკოლოზ ფარჩხეული (ხაშური, სს.); **50 კგ:** 1. თორნიკე ლეკაშილაძე („შევარდენი"), 2. გიორგი გოგოლაძე, 3. ვალერი ბეჭინაშვილი და მამუკა მურადიანი (სამეფო — თელ. კლ.); **53 კგ:** 1. სანდრო ამინაშვილი („შევარდენი"), 2. გიგა უუნაძე („მარიონ"), 3. ბაგრი გოგოლაძე („შევარდენი") და გიორგი ქლეკიძე (საგარ.); **58 კგ:** 1. რევაზ ივანიშვილი („შევარდენი"), 2. ზურაბ ნადირაძე (ქაშური), 3. გიორგი მეტრეველი („მარიონ") და ლაშა კანთელაძე (თელ. კლ.); **63 კგ:** 1. ფრიდონ თანიაშვილი, 2. გიორგი გოგოჩიძინი, 3. გიგი ჩხარტიშვილი (სამეფო — „შევარდენი") და გიორგი შანავა (წალენჯიხა); **69 კგ:** 1. მიხეილ ცნჭაძე (თელ. კლ.), 2. ჯონი ჯავახიშვილი („მარიონ"), 3. ლევან გოგოჩიანი („შევარდენი") და როლანდ ჩიაშვილი („მარიონ"); **76 კგ:** 1. გიორგი ალანიშვილი (თელ. კლ.), 2. ზურაბ ბენდელიანი (ყარდ.), 3. გიორგი ლეკიანიშვილი (თელ. კლ.) და ცოტნე კვარაცხელია (წალენჯიხა); **85 კგ:** 1. თეიმურაზ ეგნატონაძე (თელ. კლ.), 2. ლაშა ტატენიძე, 3. მიხეილ ფხუტურია (ორივე — „შევარდენი"); **+85 კგ:** 1. ვალერიან გზირიშვილი, 2. გაყაზ სიდამონიძე (ორივე — „შევარდენი"), 3. ანზორ გიორგობიანი (თელ. კლ.) და ალექსანდრე ცირაშვილი (წალენჯიხა).

აღსანიშნავია, რომ 50 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებული თორნიკე ლეკაშილაძის შვილიშვილია.



მეძახვიდრეობა

ჰერკულესის ორი სვეტი...

ტუტუნაძე ლიორ ორგზის ჩემპიონი თაყვანუეული ქიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი გურამ საღარაძე.

ჭარიელი სპორტის ორი ლეგენდა **დავით ცინცაძე** და **გივი კარტოზია** ერთ რიცხვში, 28 მარტს არიან დაბადებულნი, ასაკით კი ამერი გივიზე ოთხ წლით უფროსი იყო. დღეს ორივე ზეციურ სპორტსმენია, იქიდან დაყურებენ სამწობლოს, რომლის სადიდებლად ყველაფერი გაუკეთეს და შორს გაუთქვეს ქართველ ერს სახელი.

რაკი ორივე ერთი თვის ერთ რიცხვში დაიბადა, განგებამ მათ თვისებებიც ერთნაირი დაასილა. და ეს არ იყო მხოლოდ ერთნაირი ზოდიაქოს ნიშნით მსგავსება. ბატონი დავითიც და ბატონი გივიც ბევრ რამეში ჰგვანდნენ ერთმანეთს და ამაც დრის სხვებისგან გამორჩეულები იყვნენ. ყველაფერი ამაღლებული, ზეცაელი იყო მათში. საქართველოს საკიდაო ტრადიციებს ორივე ჰერკულესის სულით შეუდგა თავის დროზე და ახალ სიმაღლეზე აზიდა მისი „ლამაზი შენობა", ამპოლო მისი ავტორიტეტი. თაობებისთვის სიამაყედ აქცივეს საქართველოს სფორტული ოჯახში მოხვედრა. და თუ დღეს ჩვენი საკიდაო სამყარო ასე ერთიანი, ასე ერთ მუშტად შეკრული, მშვრი და მეგობრული, ამაში ლომის წილი სწორედ დავით ცინცაძეს და გივი კარტოზიას უძევან.

დავით (მარჯ) ცინცაძე მამის — დიდი **მიშეყო მაჩაბელის** კალს გაჰყვა. გახდა ოლიმპიური ჩემპიონი (1952), ამერი ბუნებით დარბაისელი იყო და ამ უპირატესობასაც საკიდაო ხალიჩაზე თავის სასარგებლოდ იყენებდა — წონასწორობიდან გამოსვედა მეტოქე. თავისუფალი ჭიდაობის ამ ეტაპეთ ოსტატმა შეიძლება მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა. 1949-1955 წლებში უეცილესად შეიდოდა სსრ კავშირის ნაკრებში.

დავით ცინცაძემ თუ პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან, გივი კარტოზიამ ჩვენი ქვეყნიდან პირველმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა.

არის თუ არა ხიზამბარელი ბაში-აჩუკის პროტოტიპი?

როგორც ცნობილია, საქართველოს ბუღალტერი, დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი თავის შემოქმედებაში გამოკვეთილად უთმობდა ყურადღებას ხალხურ თამაშობებს და სპორტის ეროვნულ სახეობებს. დღეს ჩვენ შევჩერდებით ერთ ფაქტზე, თუ როგორ გამოიყენა აკაკი წერეთელმა ხიზამბარული შერკინება ერთ თათართან თავის მოთხრობაში „ბაში-აჩუკ". ჯერ ვნახოთ, რას წერს აკაკი ბაში „ეერიანში" 1888 წელს (№169): „ერთხელ თათარი ჩამოვიდა, საოცარი რამ იყო. მარილის ქვებს იღებდა ხელებზე და ბურთივით ათამაშებდა. ქალებს დიდაკაცობა შეაწუხა: „ან დამპვიდეთ ვინმე, ან საჩუქრით გამისტუმრეთ ჩემი ქვეყნისკენ". თავადებმაც ჩამოიყვანეს ხიზამბარელი. თათარმა შეიდო და გაიცინა, აითვალწუნა და უთხრა „ილეკ, ბუჯურო", ხიზამბარელს გული მოუვიდა, ეძგერა, მოიგდო ზურგზე და რუმბივით გადაატყდო.

ეს როგორ იქნება, გაბა ეს ჭიდაობა არის, მე მხოლოდ მივესალმე და სალამი არ დამემთავრებინა, ისე მომჭახალო. დასხვიდეს მეორედაც, მაგრე არ იქნებაო ყირონდენ თათარს მოსჩივრები, გაბრუებული ადგილზედ წამოდგა ზეზე და თქვა: „მე ჯერ სალამი არ გამითავებინა და ის ღილატით მომეგრად".

ძალით გამოათრიეს მეორედ ახალგაზრდა; ის გაჩერდა ერთ ადგილს და ალარ იძრაწოდა. — თათარო, სალამი რომ გათავეო, დამძახე და მოეალო!" — მიაყვირა ფალავანმა. იმანაც ბრაზმორეულმა კამეჩივით მაგრა ახალგაზრდას, მაგრამ ის ყრნზე გაუტია და თათარმა ხელები ვერ აერის მოაპოტინა. რამდენჯერმე ჩაკროლა-ჩამოატეხოლა ახალგაზრდამ გილიათს, მაგრამ ატყეუებდა: ხან აქეთ, ხან იქით გაჩნე უხტებოდა, რომ ხელში არ ჩაეარნონდა. მოთმინებიდან გამოსული თათარი წყვილ-კრუღეთ დასდევდა მოპირდაპირეს. შეეჩინა დრო, როგორც იქნა, ახალგაზრდამ მოაღო ხელი მკლავში, წამოიკიდა ზურგზე, გაემოირო კისრეთ, დაუქნა ხელები. ახდეულმაი სიგრძისად გაიშხლართა ბეღალმა დედაწინაზე...

განსაკ მკითხველისთვის მიგვინდია

ოლიმპიური ვიქტორინა

1. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ოლიმპიადაზე მთავარია არა გამარჯვება, არამედ მონაწილეობა"?

ა — პიერ დე კუბერტენს
ბ — პენსილვანიელ გენერალს
გ — ფემერტიოს ვიცელს

2. რომელი ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზს ბუკვს ძმებმა ვილპელმ და ერიკ კალბერგებმა (შვედეთი) ტყვიის სროლაში?

ა — მესამე თამაშებში
ბ — მეოთხე თამაშებში
გ — მეხუთე თამაშებში

3. სად გაეკეთდა პირველად ოლიმპიური დევიზი: „სწრაფად, მაღალ, ძლიერად!"

ა — ანტვერპენში, VII ოლიმპიადაზე
ბ — პარიზში VIII ოლიმპიადაზე
გ — ლოს-ანჟელესში X ოლიმპიადაზე

4. რომელი წლის ოლიმპიურ თამაშებზე აღიმარეა პირველად ოლიმპიური დროშა ოლიმპიური ემბლემით?

ა — 1908 წელს
ბ — 1912 წელს
გ — 1920 წელს

5. ვის ეკუთვნის ოლიმპიური ფიცის სიტყვები?

ა — ვიცელასს
ბ — პიერ დე კუბერტენს
გ — ანრიდე ბაიე ლატურს

წინა ვიქტორინის პასუხები: 1 – ბ, 2 – გ, 3 – ა, 4 – ბ, 5 – გ.

შეიძლება „ლელს"

შკითხვა – მოყვეთი შტატების შემცირეაში. რამდენიმე დღის შემდეგ ამავე ორგანიზაციაში გაოთვისუფლდა საშტატო ერთეული, რომელზეც დაასაქმეს ახალი მუშაკი. გთხოვთ მითასუხოთ, მოქმედი კანონმდებლობით, სამსახურში მიღებასა და სარეაბლოს თუ არა უპირატესობით შტატების შემცირების გამო გათავისუფლებული პიროვება და მაქეს თუ არა უფლება, მოეთხოვო იმ ადგილზე დანიშვნა?

პასუხი – მოთხოვნის უფლება გაქვთ, თუმცა უპირატესობით არ სარგებლობთ.

„ლელის" რედაქცია თანაუგრძნობს ლევან თედოსაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებაში თანაგრძნობას უცხადებს ლეგენდარულ ქართველ ფალავანს, ოლიმპიურ თამაშების ორგზის ან მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონს ლევან თედოსაშვილს დედის ჯიქიის გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა 17 ივნისს 15 საათზე საგარეჯოში.

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ლეგენდარულ ფალავანს, ქართული ჭიდაობის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს ლევან თედოსაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

„ლელის" რედაქცია თანაუგრძნობს ლევან თედოსაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

გამოიწერეთ ლ
2006 წლის
მეორე ნახევრისათვის!

ზაურ კალოევი

ქართულ ფეხბურთის და მის ფლაგმანს თბილისის „დინამოს" ყოველთვის ჰყავდა მაღალი კლასის, პირველხარისხოვანი, საერთაშორისო დონის ცენტრფორვარდები: ლეგენდარული **ბორის პაიჭაძე, ანდრო ჯაზრიაური, ზაურ კალოევი, ვლადიმერ ბარქაია, გიგი ნოდია, რამაზ შენგელაია, რევაზ ჩელებაძე.** ისინი ნებისმიერი წამყვანი ევროპული გუნდის შემადგენლობას დაამშვენებდნენ.

დღეს ერთ-ერთი მთავარი, თბილისის „დინამოს" ლეგენდარული ცენტრფორვარი ზაურ კალოევი გვირდა გაეხსენით. წლეულს მას 75 წელი შეუსრულებოდა. გულშემატკივრის, რომელსაც უნახავს მისი თამაში და მრავალჯერ დაუწილოცებია მკუხარე ტაშით, ვალია არ დაივიწყოს ღვაწლშოსილი ფეხბურთელი და შეძლებისდაგვარად შეეცადოს პატივი მიაგოს მას.

ზაურ კალოევი უებრო ბომბარდირი, გოლეადორი იყო. ვისაც უნახავს მისი გამოსვლები მწუხარე მინდორზე, არ შეიძლება დაავიწყდეს ზაურის ბრწყინვალე თამაში თავით. განსაკუთრებით მრისხანედ გამოიყურებოდა **მესხი — კალოევის ტანდემი.** მარცხენა ფლანგზე მესხის ბრწყინვალე გარკვევის და ცრიტიზმული გადაცემის შემდეგ ზაურ კალოევს მრავალი ღამაზი გოლი გაუტანია და მოუხიბლავს მაყურებელი. 1963 წელს თბილისის „დინამოში" ლეგენდარული **სლავა მეტრეველის** გადმოსვლის შემდეგ, მას მარჯენიდანაც საუცხოო პარტნიორი გამოუჩნდა და თბილისელთა გოლეადორი კიდევ უფრო სიმაღლეზე აიწია. ზაურ კალოევის ნეიტრალიზება მოწინააღმდეგის მცველების კიდევ ერთი თავის სატკივარი იყო და ასეთი თავსატეხი 60-იანი წლების „დინამოს" მეტოქეებს, უნდა ითქვას, რომ ძრავალ ჭირნთან. სწორედ ამაში მდგომარეობდა იმდროინდელი „დინამოს" ხიბლი.

თბილისის „დინამოში" ზაურ კალოევს გაუმართა პირობითად ორ პერიოდად შეიძლება გავყოთ: 1952-1956 წლები და 1959-1963 წლები, რომელიც მისი სპორტული ბიოგრაფიის საუკეთესო ხანა იყო. ორი სეზონი მან მოსკოვის „ლოკომოტივში" გაატარა.

ზაურ კალოევმა დაამთავრა თბილისის 35-ე საშუალო სკოლა. მისი, როგორც ნიჭიერი და პერსპექტიული ცენტრფორვარის აღმოჩენა უებრო სელექციონერი და ლეგენდარული მწვრთნელი ანდრო ჯორჯაძის დამსახურებაა. მან სრულიად ჯაბეკი, 19 წლის ზაურ კალოევი 1950 წელს თბილისის „სპარტაკში" მიიწვია, რომელმაც იმხანად უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. „სპარტაკელმა" ამ ბრწყინვალე წარმატების მთავარ სულისჩამდგმელი, საბედნიეროდ, ქართული მწვრთნელი, ქართული ფეხბურთის მამაგდარი **ანდრო ჯორდანია** იყო. „სპარტაკმა" ორი წელიწადი ითამაშა უმაღლეს ლიგაში და ქართული ფეხბურთის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი სეზონი ზაურისათვის შესანიშნავი სადებუტო სკოლა გამოდგა.

თუ პირველი სეზონის განმავლობაში ახალბედა ფორვარდი შესანიშნავად მოთამაშე **ავთანდილ პაიჭაძის** ჩრდილში მოექცა, ამ უკანასკნელის „დინამოში" გადასვლის შემდეგ კალოევს ხელ-ფეხი გაეხსნა და მტკიცედ დაიკავა ადგილი „სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში. მან სასეზონო გაამართლა მწვრთნელის იმედი და ლეგენდარულ **გიგა ნორაკიძესთან** ერთად თბილისის „სპარტაკის" ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშედ მოგვევლინა. 1951 წლის საფეხბურთო სეზონში ზაურ კალოევმა 11 გოლი გაიტანა და თბილისის „სპარტაკის" მთავარი ბომბარდირი გახდა. ცხადი იყო, რომ ქართულ ფეხბურთის საუცხოო ბომბარდირი ეზრდებოდა.

ალიაქოფს ვერაფერს ეზდათ იმაში, რომ ლეგენდარული ბორის პაიჭაძის და **ანდრო ზაზროვეს** მემკვიდრედ სწორედ ზაურ კალოევი მოგვევლინა.

1951 წელს დიდი ფეხბურთიდან წავიდა „ფეხბურთის კარუზოდ" წოდებული საბერგანთწყვეტი ბორის პაიჭაძე. კიევის „დინამოში" გადავიდა და როგორც ჩანგნელმა ბომბარდირმა, გამოიჩინა თავი ანდრო ზაზროვემა, რომელიც შეუდარებელი ბორის პაიჭაძის ერთ-ერთ რეალურ შემცვლელად მოიაზრებოდა. „დინამოს" თავდასხმის ცენტრში გაჩნდა ვაკუუმი, აუცილებელი იყო ამის შევსება. ამ მიზნით თბილისის „სპარტაკიდან" „დინამოში" გადმოიყვანეს ჯერ ავთანდილ პაიჭაძე, ხოლო შემდეგ ზაურ კალოევი. თბილისის „სპარტაკის" აღიარებულ ლიდერს ავთანდილ პაიჭაძეს „დინამოში" თამაში აშკარად არ წყვედა, იგი ვერ მოერგო გუნდს, ხოლო ზაურ კალოევი ნელ-ნელა, თანდათან იმკვიდრებდა ადგილს „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში.

შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ ზაურ კალოევის ბომბარდირული ღირსებები თავდაპირველად მაჭანჭალურად გამოყენებული არ ყოფილა. ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ოთხ სეზონში მან მხოლოდ 22 გოლი გაიტანა, რაც ისეთი უბადლო გოლეადორისთვის, როგორიც ზაურ კალოევი იყო, ცხადია, ძალიან ცოტაა. რაშია საქმე, რა მოხდა? ზ. კალოევის ეს მეტაპორიული, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და შეიძლოდ უკავშირდება იმ პერიოდის „დინამოს" ხშელბეთობას. ასეთი ნაკლები შედეგიანობა მნიშვნელოვანწილად იმით იყო გამოწვეული, რომ ფრთებიდან დინამოს შეტევებს აშკარად აკლდა სიმწყვად. ავთანდილ ჭკუასული ძალიან ცოტას თამაშობდა, ხოლო მარჯვნა ფრთაზე ჯერ კიდევ არ ჩანდა სახელგანთქმული **გაიოზ ჯგუჯელავას** ღირსეული მემკვიდრე. შეტევის ღიდების როლი ლეგენდარულმა **ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძემ** იკისრა. ის ასრულებდა უზარმაზარ სამუშაოს, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ბასა იყო „დინამოს" შეტევის მთავარი სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და დამკვირგანიებელი.

ორი სეზონი ზაურ კალოევმა მოსკოვის „ლოკომოტივში" გაატარა. ეს წლები რკინიგზელთა ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მოსკოველთა კლუბს სათავეში ჩაუდგა ლეგენდარული მწვრთნელი **ბორის არკადიევი.** გუნდში გამოჩნდნენ **ვიქტორ ვორობიოვი, ვალენტინ ბუბუკინი.** 1957 წელს მოსკოველებმა თავის ისტორიაში მეორედ მოიპოვეს საბუთაო ვაგრის თასი, თუმცა, კალოევს ფინალურ მატჩში არ უთამაშია.

1959 წელს თბილისის „დინამოს" სათავეში ჩაუდგა ქართული ფეხბურთის ამაგდარი დიდი ანდრო ჯორჯანია. მისი უებრო სელექციური ალღოს წყალობით, გუნდში გამოჩნდა პერსპექტიული, ნიჭიერი ახალგაზრდების დიდი ჯგუფი. მკვრე **სერგო კოტრიკაძე, მცვეველები: ბორის სიჭინავა, ვლადიმერ თორაძე, გიგი ჩოხელი, ჯემალ ზვინკლიშვილი,** ნახევარმცველი შოთა იამანიძე, თავდასხმელები: **თენგიზ მელაშვილი, იღლია დათუნაშვილი, ვლადიმერ (ხიომა) ბარქაია,** მიხეილ **მესხი.** სავსებით კანონზომიერი იყო, რომ 1959 წელს თბილისის „დინამოს" დაუბრუნდა მისი ცენტრფორვარი ზაურ კალოევი.

ანდრო ჯორდანიას უზარმაზარ ხელმძღვანელობით და ნიჭიერი ახალგაზრდების ძალისმიერ შედეგად „დინამო" თანდათან აღწევს თავს გაჭიანურებულ კრიზისებს და ღრმაზდ ათამაშდა. ამ წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა ზაურ კალოევმა, რომელიც 16 გატანილი გოლით „დინამოს" და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირად მოგვევლინა. ისტორია კვლავ გამეორდა მომდევნო 1960 წელს და ზაურ კალოევი ტაშკენტელ **გენადი კრასნიცკისთან** უმწვავეს კონკურენციაში 20 გატანილი გოლით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

საფეხბურთო მართლმსაჯული იყო, რომ ზაურ კალოევი მიიწვიეს საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების და პირველ გუნდში, მაგრამ მაშინ ნაკრებში **ვიქტორ პონედელნიკი** თამაშობდა და ზაურ კალოევს თავის გამოჩენის შანსი არ მისცემია.

ის მონაწილეობდა 1960 წლის 31 ოქტომბერს მოსკოვის „ტორპედოსთან" საბჭოთა კავშირის თასის დაუფრწყვ ფინალურ მატჩში, ავტომპონელების კარში გოლი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა — 2-2. ზედიზედ ოთხი სეზონის განმავლობაში ზაურ კალოევი იყო თბილისის „დინამოს" მთავარი ბომბარდირი. მხოლოდ 1963 წელს 32 წლის ზაურ კალოევმა დათმო პოზიციები და გუნდის მთავარი ბომბარდირი 14 გატანილი ბურთით, ელადიმერ ბარქაია გახდა. ამ ხუთი სეზონის განმავლობაში ზაურ კალოევმა 73 გოლი გაიტანა და ლეგენდარული „ორგოლი ფეხბურთის" ლაურეატი გახდა. ეს ის ძალიან საპატიო და პრეზიული ჯილდოა, რომელიც ბომბარდირის დიდი ალიარება.

1963 წელს თბილისის „დინამოში" მოსკოვის „ტორპედოდან" გადმოვიდა სლავა მეტრეველი. ეს იყო მნიშვნელოვანი შენაძენი, თბილისის „დინამოს" თავდასხმის ხაზი შესამჩნევად გაძლიერდა: სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, ზაურ კალოევი, მიხეილ მესხი. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმა თბილისის „დინამოს" ისტორიაში. „ქართული ფრთები" პირდაპირ აწოილებდნენ მოწინააღმდეგის დაცვას. ცენტრში მათ მხარს უჭერდა უებრო სტრატეგი, იშვიათად ნათელი ტაქტიკური აზროვნების ფეხბურთელი ვლადიმერ ბარქაია. ეს მეტოქის კიდევ ერთი თავსატეხი იყო. ამას ემატებოდა იშვიათი გოლეადორული თვისებებით დაჯილდოებული ზაურ კალოევი და იყო მრისხანე ძალა. შემთხვევითი სულაც არ ყოფილა, რომ 1963 წელს მეტოქის კარში გატანილი 56 გოლიდან 42 სწორედ ამ ოთხეულზე მოდის: ვ. ბარქაია (14 გოლი), ზ. კალოევი (11), ს. მეტრეველი (10), მ. მესხი (7). ეს იყო ფორვარდთა ბრწყინვალე ანსამბლი.

განსაკუთრებით მტკივნეულად მოგვანია ის გარემოება, რომ თავდასხმის ამ საუცხოო კვარტეტმა ერთი წელიწადი ითამაშა და მათი მდიდარი პოტენციური შესაძლებლობები, გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ბოლომდე გამოვლენილი ვერ ყოფილა. ვფიქრობთ, ამ დიდებულ ოთხეულს კიდევ რამდენიმე წელიწადს შეეძლო მშობლიური „დინამოსთვის" სარგებლობის მოტანა. აჭ უბრალოდ, იმის თქმას ვაპირებ, რომ ნაყრიგად ხომ არ ვიქნით უარი ზაურ კალოევის ტალანტზე, რატომ არ გამოვიწვიეთ მისი მდიდარი გამოცდილება ფეხბურთნარ 1964 წელს? რამდენად აუცილებელი იყო შეტევის ხაზის რეკონსტრუქცია? კალოევის **აუ შვეიდ** ჩანაცვლება ხომ არ ბკადა იმის, რომ თურმაშეულის პატრონი ტფილ პანტას დაეძებდა? ფაქტობრივად, პრობლემა შეიქმნით იქ. სადაც ის არ უნდა ყოფილიყო და მხოლოდ 1964 წლის შემოდგომაზე მრავლნაცადმა და საფეხბურთო ბატალიებში გამობრძმედილმა **გაფრილ ქაჩალინმა,** ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნო თავდასხმის ოპტიმალურ ვარიანტს: ილია დათუნაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი.

ვითხეთ ბევრია, ფაქტი კი ერთია. ლეგენდარული ფეხბურთელი გულნატკენი წავიდა დიდი სპორტიდან. ხომ შეიძლებოდა, ისიც მისი თანაგუნდელების მსგავსად, ოჭრის მედლით მკერდამშვენებული წასულიყო მშობლიური გუნდიდან?

ზაურ კალოევი იყო ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ბრწყინვალე ბომბარდირი, გოლეადორი.

მერაბ კალანდაძე.

ბავშვთა ფეხბურთი

91-იანებში საუკეთესო „ნორჩი დინამოელია"

ჩვენ უკვე შევჩერეთ „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო გუნდის შთამბეჭდავ წარმატებებს ასაკობრივ ტურნირებში. „ნორჩი დინამოელი" ტრადიციას არ ღალატობს და ხშირად გამოდის გამარჯვებული თანატოლთა შორის შეხვედრებებში. განსაკუთრებით კარგად ასპარეზობენ მწვრთნელ **რევაზ გაგუას** აღსაზრდელები.

ამ დღეებში დასრულდა საქართველოს პირველობა 1991 წელს დაბადებულ ჯახეკ ფეხბურთელთა შორის. ფინალში „ნორჩი დინამოელი" (თბ) შეხვდა „შუქურას" (ქობულეთი) და დაამარცხა 3-0. სამივე გოლი მეტოქის კარში **ნიკოლოზ ბახვალაძემ** გაიტანა. გამარჯვებული გუნდის მწვრთნელია რევაზ გაგუა. „შუქურას" მწვრთნელები: **მერაბ მგებრიშვილი, მერაბ გოგოტაძე** და **ილია ჯაფარიძე.** მესამე ადგილისთვის ბრძოლაში თბილისის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის გუნდმა ჯობა ქუთაისის „დინამოს" (მწვრთნელი **დავით ბერიძე**) 2-0.

ფოტო რობერტ ბაგრიანისა.

იმარჯვებენ საუკუნოვანი „შეკრძალის" მეკვიდრეები

დასრულდა თბილისის პირველობა 1994 წელს დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის. ფინალურ ეტაპზე მესამე ადგილისთვის შეხვდნენ „ირაონ" მოიგო 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდს 4-1. ფინალში „მეცარეხი 1906" (მწვრთნელი ო. წერეთელი) ოლიმპიური მზადების ცენტრის (მწვრთნელი ბ. ჩაგუნავა) გუნდს დაუპირისპირდა. ძირითადი დრო უგოლოდ ამოწურა. პენალტების სერიაში კი 100 წლის სპორტული კლუბის „მეცარეხის" მეკვიდრეებმა გაიმარჯვეს 4-2. **სუპათზე მარცხნიდან: I რიგში** — ო. წიკლაური, ჯ. ხანიაშვილი, ვ. ჩინგილაშვილი, ს. ხანიაშვილი, გ. თეშხაზ, გ. წერეთელი; **II რიგში** — ზ. ბებიაშვ, თ. ვარდანია, ლ. ბაგნიძე, მ. გუგავა (კლ. პრეზიდენტი) ო. სირაძე, ო. ოჭიაური, რ. შონია (ტექ დირექტორი), ნ. ჯიქიძე, ბ. ბეგიაძე, ბ. შეთაკიური, რ. წერეთელი (მთ. მწვრთნელი)

ეგზოტიკა მსოფლიო ჩემპიონატზე

ჯოკარაკელი გულშემატკივრები

გერმანელი ფეხბურთელის დონის სტეფანის ინგლისის ნაკრების ფეხბურთელ ცოლთან თავს კომფორტულად გრძნობენ

ფაბიენ ბარტეზი

მსოფლიოს თანამედროვე მეკარეები

